


აღმასრულებელი დირექტორი:  ლ. ჭუმურიძე

განახლებული რედაქცია: 02.12.2019 წელი

## პერსონალური მონაცემების დამუშავების და დაცვის პოლიტიკა

### შესავალი

პერსონალური მონაცემების დამუშავების და დაცვის პოლიტიკა (შემდგომში – პოლიტიკა) განსაზღვრავს „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ (შემდგომში - „ბაფის“) პერსონალური მონაცემების საინფორმაციო სისტემაში დამუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვის სტრატეგიას და პრინციპებს.

პოლიტიკა განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად წაყენებულ მოთხოვნებს. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებელია პერსონალურ მონაცემებზე არასანქცირებული, მათ შორის შემთხვევითი ხელმისაწვდომობის გამორიცხვით, რომლის შესაძლო შედეგებია პერსონალური მონაცემების განადგურება, შეცვლა, ბლოკირება, კოპირება, გავრცელება.

ამ პოლიტიკის მოთხოვნების შესრულება აუცილებელია „ბაფის“ ყველა თანამშრომლის მიერ.

### 1. პოლიტიკის გამოყენების მიზანი და სფერო

პოლიტიკის მიზანია პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აგრეთვე ნორმატიული სამართლებრივი აქტების და სხვა დოკუმენტების დებულებების რეალიზაცია პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხში. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მირითადი მიზანია:

- პერსონალური მონაცემების სუბიექტის უფლების დარღვევის თავიდან აცილება იმ ინფორმაციის კონფიდენციალობის დასაცავად, რომლის დამუშავება ხდება „ბაფის“ პერსონალური მონაცემების საინფორმაციო სისტემაში;
- პერსონალური მონაცემების ინფორმაციის მიმართ არასანქცირებული ქმედებების თავიდან აცილება.

„ბაფის“ შიდა დოკუმენტები, რომლებშიც მოცემულ დოკუმენტში განხილული საკითხებია შესული, უნდა დამუშავდეს პოლიტიკის დებულებების გათვალისწინებით და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მათ.

### 2. პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები

პერსონალური მონაცემების დამუშავება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნების და მეთოდების კანონიერება და კეთილსინდისიერება;

- პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნების შესაბამისობა წინასწარ განსაზღვრულ და განცხადებულ მიზნებთან პერსონალური მონაცემების შეგროვების დროს, აგრეთვე საზოგადოების უფლებამოსილებებთან;
- დამუშავებული პერსონალური მონაცემების მოცულობის და ხასიათის შესაბამისობა, პერსონალური მონაცემების დამუშავების მეთოდების შესაბამისობა პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებთან;
- პერსონალური მონაცემების უტყუარობა, მათი საკმარისობა დამუშავების მიზნებისათვის, პერსონალური მონაცემების შეგროვების დროს გაცხადებულ მიზნებთან მიმართებაში გადაჭარბებული პერსონალური მონაცემების დამუშავების დაუშვებლობა;
- შეუთავსებელი მიზნებისათვის შექმნილი პერსონალური მონაცემების საინფორმაციო სისტემების მონაცემთა ბაზის გაერთიანების დაუშვებლობა.

### **3. პერსონალური მონაცემების დამუშავების მეთოდები**

„ბაფს“ შეუძლია განახორციელოს პერსონალური მონაცემების დამუშავება ავტომატიზაციის საშუალებების გამოყენებით ან მათი გამოყენების გარეშე.

### **4. პერსონალური მონაცემების სუბიექტები**

4.1 „ბაფს“ შეუძლია განახორციელოს შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემების სუბიექტების პერსონალური მონაცემების დამუშავება:

- „ბაფში“ დასაქმებული პირები;
- „ბაფის“ წევრი პირები.

4.2 პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებია:

- „ბაფში“ დასაქმებული პირებთან საანგარიშსწორებო ურთიერთობა და დასაქმებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულება;
- „ბაფის“ წევრთა იდენტიფიფირება და „ბაფში“ წევრობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება.

### **5. დამუშავებული პერსონალური მონაცემები**

5.1 „ბაფში“ დასაქმებულ პირებთან მიმართებით, „ბაფი“ ამუშავებს მათ პირადი საქმის წარმოებისთვის აუცილებელ შემდეგ მონაცემებს:

- გვარი, სახელი, მამის სახელი;
- დაბადების თარიღი;
- პირადი ნომერი;
- მისამართი;
- ტელეფონის ნომრები;
- ელექტრონული ფოსტა;
- განათლება;
- მიმდინარე სამუშაო ადგილი;

5.2 „ბაფი“ წევრ პირებთან მიმართებით ამუშავებს შემდეგ პერსონალურ მონაცემებს:

5.2.1 ფიზიკური პირების:

- გვარი, სახელი, მამის სახელი;
- სქესი;
- დაბადების თარიღი;
- პირადი ნომერი;
- სახლის მისამართი;

- საკონტაქტო ტელეფონის ნომრები (მობილური, სახლის, სამსახურის);
- ელექტრონული ფოსტა;
- განათლება;
- ამჟამინდელი სამსახური;
- სამუშაო გამოცდილება;

#### 5.2.2 იურიდიული პირების:

- ფირმის დასახელება;
- იურიდიული მისამართი;
- ფაქტობრივი მისამართი;
- ტელეფონი;
- ფაქსი;
- ელექტრონული ფოსტა;
- ფილიალების მისამართები და ტელეფონები;
- ვებ-გვერდის მისამართი;
- კორპორაციული ინფორმაცია;
- რეგისტრაციის თარიღი და მარეგისტრირებელი ორგანო;

### 6. პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები

პერსონალური მონაცემების დამუშავება იწყება პერსონალური მონაცემების საინფორმაციო სისტემაში მათი მიღების მომენტიდან და მთავრდება:

- „ბაფში“ დასაქმებულ პირთან შრომითი კონტრაქტის გაუქმების წლიდან მომდევნო 6 წელი.
- პერსონალურ მონაცემებზე მიმართული არამართლზომიერი ქმედებების გამოვლენის შემთხვევაში, გამოვლენიდან სამი სამუშაო დღის ვადაში „ბაფი“ აღმოფხვრის დაშვებულ დარღვევას.
- პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნების მიღწევის შემთხვევაში, „ბაფი“ დაუყოვნებლივ წყვეტს პერსონალური მონაცემების დამუშავებას და ანადგურებს შესაბამის პერსონალურ მონაცემებს სამი სამუშაო დღის ვადაში, პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნის მიღწევის თარიღიდან.

### 7. პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები

პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს დაცული უნდა იყოს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა. „ბაფმა“ და მესამე პირებმა, რომელთათვის ხელმისაწვდომია პერსონალური მონაცემები, უნდა უზრუნველყონ ასეთი მონაცემების კონფიდენციალობა, გარდა იმ შემთვევებისა, როდესაც:

- პერსონალური მონაცემები დეპერსონალიზებულია;
- პერსონალური მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

პერსონალური მონაცემების შენახვა უნდა განხორციელდეს ისეთი ფორმით, რომ პერსონალური მონაცემების სუბიექტის დადგენის პროცესი არ გაგრძელდეს ამ მონეცემთა დამუშავების მიზნისთვის განსაზღვრულ დროზე უფრო ხანგრძლივად.

პერსონალური მონაცემების გასანადგურებლად, დირექტორის ბრძანებით ინიშნება პერსონალური მონაცემების განადგურების კომისია. კომისია, პერსონალური მონაცემების განადგურების შესახებ აფორმებს აქტს. პერსონალური მონაცემების მატერიალური მატარებლების შენახვა ხდება „ბაფში“ დაცულ ადგილას.

## 8. პერსონალური მონაცემების დაცის ორგანიზაცია

პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საინფორმაციო სისტემებში მათი დამუშავების დროს, ხორციელდება პერსონალური მონაცემების დაცის სისტემის დახმარებით, რომელიც მოიცავს ინფორმაციის საორგანიზაციო ზომებს და დაცვის საშუალებებს ( მათ შორის არასანქცირებული ხელმისაწვდომობის, ინფორმაციის გაუონვის თავიდან აცილების საშუალებებს, პერსონალური მონაცემების დამუშავების ტექნიკურ საშუალებებზე პროგრამულ-ტექნიკური ზემოქმედების საშუალებებს), აგრეთვე საინფორმაციო სისტემაში გამოყენებულ საინფორმაციო ტექნოლოგიებს. მონაცემთა დამმუშავებელი აწარმოებს ფაილური სისტემის კატალოგს კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე უზრუნველყოფს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვას. მონაცემთა დამმუშავებელი (თანამშრომელი) იცავს მონაცემთა საიდუმლოებას მათ შორის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც. „ბაფის“ საინფორმაციო სისტემაში პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

- პერსონალური მონაცემების არასანქცირებული ხელმისაწვდომობის თავიდან აცილებაზე მიმართული ღონისძიებების ჩატარება და/ან მათი გადაცემა მესამე პირებზე, რომლებსაც არ აქვთ ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება;
- პერსონალური მონაცემების არასანქცირებული ხელმისაწვდომობის ფაქტების დროული გამოვლენა;
- პერსონალური მონაცემების ავტომატიზებული დამუშავების ტექნიკური საშუალებებზე ზემოქმედების არდაშვება, რომლის შედეგად შესაძლოა მათი ფუნქციონირების დარღვევა;
- ისეთი პერსონალური მონაცემების დაუყონებლივი აღდგენის შესაძლებლობა, რომლებიც მოდოფიცირებულია და განადგურებულია მათი არასანქცირებული ხელმისაწვდომობის დროს;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის დონის უზრუნველყოფის მუდმივი კონტროლი.

ფართის, სადაც პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება, დაცვამ ამ ფართში უსაფრთხოების უზრუნველყოფის რეჟიმის ორგანიზებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების მატარებლების და ინფორმაციის დაცვის საშუალებების უსაფრთხოება და ამ ფართებში უცხო პირთა შესვლის შეუძლებლობა.

პოლიტიკის მოთხოვნების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა ხორციელდება პერიოდული კონტროლის გეგმის შესაბამისად.

კონტროლში შედის ინფორმაციის დაცვის ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნის შესრულების შემოწმება, აგრეთვე მიღებული ზომების ეფექტურობის და დასაბუთების შეფასება. იგი განხორციელდება „ბაფის“ ხელმძღვანელის მითითებით, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების დაფინანსება ხორციელდება „ბაფის“ სახსრებით.

## 9. პოლიტიკის მოთხოვნების დარღვევის პაუხისმგებლობა

ამ პოლიტიკის მოთხოვნების დამრღვევი პირები, პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.